# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.**
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

**სამშაბათი 3 ივნისი.**

**მისამართი:** ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 69 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 69



უდროვოთ გულდათუთქულნი და დატანჯულნი მშობლები როსტომ გიორგის ძე ბარათაშვილი და მეუღლე მისი ენთერ ნიკოლოზ თუთბერიძის ასული ბარათაშვილისა, ბიძა და ბიცოლა ნესტორ ნიკოლოზის ძე და მაშიკო სიმონ ჩირაძის ასული თუთბერიძე და ბიძაშვილები ევგენი და ბესარიონ კონსტანტინეს ძენი ბარათაშვილები გულითადის მწუხარებით გაუწყებენ რა უდროოთ გარდაცვალებას თფილისის კომერციულ სასწავლებლის მეშვიდე კლასის მოწაფის ერთათ ერთი შვილის

**სევარიონ როსტომის ძის ბარათაშვილისას,**

უმორჩილესათ გთხოვენ რათა პატივი სცეთ, მობრძანდეთ და დაეს წროთ მიცვალებულის გამოსვენებას ივნისის 3 რიცხვს, დღით სამშაბათს ნაშვადღევის 4 საათზე პეტრე-პავლეს ეკლესიის წინ, საკუთარ სახლებში, საიდანაც მიცვალებული წასვენებულ იქნება დასაკრძალავათ საფიჩხიის სასაფლაოზე და თქვენის მობრძანებით ანუგეშოთ უზომოთ დასჯილნი და დატანჯულნი ქირისუფალნი.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე.

სპეციალური წიგნის მაღაზია
**კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.**
(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოება ყოველგვარი საკანცელიარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

**ქუთაისი.**
**თ. მთავრიშვილის და ამხ.**
წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე. მაღაზიაში არის ყოველგვარი საკანცელარიო ნივთი, სახატავი და საწერი რვეულები საკუთარი ფირმისა. პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს. მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

ქალაქის თეატრში
5 ივნისს
**ვ. ა. გურკო**
წაიკითხავს ლექციას.
**საქართველოს კულტურა**
და
**მისი დამოკიდებულება აღმოსავლეთთან.**

ამით ვაცხადებ ხელის მომწერთა საყურადღებო, რომ ია ეკალამის თხუზულებათა მეორე ტომის ბეჭდვა, ავტორის მოუცლელობისა გამო, დაიწყება მაისის დამლევს
(როცა მოწაფეები დათხოვნილ იქნებიან საზაფხულოდ.)

**წიგნს დართული ექმნება ვრცელი ავტობიოგრაფია—მოგონებანი ქართველ მწერალთა, ინტელიგენციისა, რედაქციებისა, მოძრაობისა და საზოგადოების ცხოვრებიდან ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში.**

ვსთხოვ პროვინციის აგენტებსა და ხელის მომწერლებს მიწერ მოწერა იქონიონ თვით ავტორთან,
ადრესი: ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, № 28.
**გამომცემელი.**

**ქ უ თ ა ი ს ი**
**პირველი კერძო სამკურნალო**
სპეციალისტი ექიმებით.
**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**
**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

დ ი ლ ი თ.

ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . . 1—2
გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის . . . . . . 10—11
ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე . . 11—2
მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . 12—2
ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . . $12^1/_2$ 2მ

ს ა ღ ა მ ო თ.

გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით . . . . $4^1/_2$—$5^1/_2$
ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . $5^1/_2$—6

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა. 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53
**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოღოშვილი.**

ექიმის იკ. ბოკერიას
**საავათმყოფო**
გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის
**ექიმი** **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით განათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.
**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის ცირდაპირ.

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
**ს. ა. ცეიტლინი.**
კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.
მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

**ექიმი** **ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**ექიმი** **ა. მ. ახათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).


## ჩვენი პრესა.

გაზეთი „აზრი“ სამოცდა მეექვსე ნუმერში ეხება [illegible]რა მოწინააღმდეგეთა მამულიშვილების მოქმედებას, სწერს:

„საზოგადოებრივობა, პოლიტიკა, ეკონომიკა, გონება, თვით ლიტერატურა და ისტორია—ყოველივე ეს განიცდის ჩვენი მამულიშვილების ფალსიფიკაციას. ორიოდე მაგალითი საკმარისია ამ საზოგადოებრივი ავაზაკობის ნათელსაყოფათ. მოგეხსენებათ, ჩვენს მამულიშვილებს თავი მოაქვთ მით, რომ ვითომ ისინი ეროვნული ტრადიციების დამცველები იყონ, ძველი დამსახურებული მოღვაწეების პატივისმცემელნი და ჭეშმარიტი დამფასებელნი მათი ღვაწლისა. მაგრამ ისიც მოგეხსენებათ, რომ მათ, მკვეხარა პატრიოტებს საამისო არასოდეს არაფერი მოუმოქმედებიათ, ყველასაგან და ყოველთვის ისინი საკუთარი გაპიტალის გადიდებას მოითხოვენ. ილია ჭავჭავაძე მათ მიატოვეს ისეთ დროს, როცა ის გარიყული დარჩა ჩვენს საზოგადოებრივობაში, მარა გააფთრებულნი მივსიენ მის საფლავს და იქ მოიკალათეს მის სისხლით სავაჭროთ. აკაკი წერეთელის იუბილეში ცხენების მაგიერობაც კი გასწიეთ თავის „ეროვნული სულისკვეთების“ საქვეყნოთ გამომზეურების გულისთვის, მაგრამ როცა მოხუცმა პოეტმა თავისი მოქალაქობრივი უფლების განხორციელება მოიწადინა და საარჩევნო კომპანიაში ჩარევა მოისურვა, ის მუქარით და ლანძღვა-გინებით გააგდეს და მერე გააშავეს, რადგან ის მათ კანდიდატის ბრმა თაყვანისმცემელი არ იყო. ვერაფერმა ვერ იპატივა მხცოვანი პოეტი სილოვანებისა და მის მზგავსთა ქუჩური გინებისაგან. ერთმა ლიტერატურულ ჯიბგირმა ხომ კიდეც ქურდულათ ხელს იგდო მისი ლექსი და გამოაქვეყნა გაზეთის ფურცლებზე, როცა „მოხერხებული დრო“ დაუდგა, გვყავს კიდევ ერთი მოღვაწე, ძველი თაობის წარმომადგენელი, ნ. ნიკოლაძე. ჩვენ ვერავინ დაგვწამებს გარკვეული და მასთან უარყოფითი შეხედულების უქონლობას ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის საერთო მიმართულებაზე; მარა ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ ძველს მოღვაწეებში ის თითით საჩვენებელია, როგორც საქმის კაცი, პრაქტიკულ კითხვებში გამოცდილი და დახელოვნებული. მაგრამ მადამოსულ მამულიშვილებისათვის ის ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრათაც არ ვარგებულა. ლასხიშვილები და გველესიანები შესაფერისი არიან ასეთ თანამდებობის, ნ. ნიკოლაძე კი—არა! ტრადიციები ხომ ზედმეტია. თუმც შეუძლებელია არ გავიხსენოთ არჩ. ჯორჯაძის სიტყვები: „ჩვენი ცხოვრების სახე მკაფიოდ არის დარჩენილი ამ მწერლის (ნ. ნიკოლაძის) გულში, რადგან უმეცნიერმა ცხოვრების სიხარულმა და ტანჯვამ ერთის ღონით, ერთნაირა ძლიერებით დაასვა დაღი მის სულიერ პიროვნებაზე“ (ტ. 2 გვ. 135). და ასეთი „კლიტე ახალი ცხოვრების ასახსნელი, როგორც მას უწოდებს არ. ჯორჯაძე—გააშავეს ქუთაისის მამულიშვილებმა, ალბად მისდა შესარცხვენათ დათავისდა სასახელოთ“.

ჩვენ არ მოგვწონს კილო, გამოთქმა, ამ წერილისა, მაგრამ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთის ნაწილის შესახებ სრულ ჭეშმარიტებას ლაპარაკობს...

ილია ჭავჭავაძისადმი მოპყრობა მის სიცოცხლის უკანასკნელ ჟამს, ხოლო ახლა ნ. ნიკოლაძის გაშავება ჩვენც დიდ შეცდომად მიგვაჩნია.

სწორეთ ასეთი მოვლენებია იმის მიზეზი, რომ ჩაისახა ახალი ჯგუფი, რომლის სურვილია კრიტიკულად შეხედოს ორივე მომქმედ პარტიას და ერთგულად ემსახუროს ქართველ დემოკრატიას, ქართველ მშრომელ ხალხს.

ეს ჯგუფი უკვე მოქმედობს და გვიკვირს გაზეთი „აზრი“ ფედერალისტთა ცოდვას ყველა ქართველებს რათ ახვევს თავს?!

„ბათომის გაზეთი“ სწერს პაპაჯანოვის სიტყვის შესახებ:

„სომხის ნაციონალისტური პრესა ერთხმად დგება პაპაჯანოვის მხარეზე. შურს და ბოროტებას თესს კავკასიის ეროვნებათა შორის, რაც აძლიერებს სხვა ხალხთა ნაციონალისტების დაუსრულებელ განგაშს. სამწუხაროდ, არ ისმის ხმა სომხის დემოკრატიისა. დაშნაკცუტუნი? სად არის დაშნაკცუტუნი, რომელიც ევროპაში ტრაბახობს—მთელ კავკასიაში კოლექტივიზმის და დემოკრატიის ტვირთი მხოლოდ ჩვენ გვაწევს კისერზეო? ის ხომ „სოციალისტობს“ ევროპაში და „ეკვრება“ ინტერნაციონალს, რომელმაც ორჯერ სამჯერ განიხილა სომეხთა საკითხი, სასტიკათ გაილაშქრა სომხეთის აწიოკების და დარბევის წინააღმდეგ, გამოაცხადა ბურჟუაზიულ მთავრობათ მონაწილეობა მის უბედურებაში და მოუხმო მთელი დედამიწის მუ[შა] ხალხს ასე საშინლათ შევიწროებულ სომ[ხ]ის ხალხის გამოსაქომაგებლად? წინად ამბობდენ, დაშნაკცუტუნმა ერთი და იგივე დელეგაცია გაჰგზავნა შტუტგარტში, ჰააგ[აშ]ი და


დაიწყო ხელის მოწერა
**ჯაჯუ ჯორჯიკიას**
თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.

წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელდება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით „ჩვენი ერის“ რედაქცია სერ. გერსამიასა და გიგლა მებუკეს.

ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** მთავრიშვილის, ოცხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი ოყრომიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნონა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან. **თფილისში** სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. **ბაქოში** აქიმ ივანე ელიაშვილთან **თელავში** ივანე პაატაშვილთან **სიღნაღში** კახეთის ხმის რედაქციაში **ჭიათურაში** პლატონ ლეჟავასთან **ყვირილაში** კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში **ბაკურიანში** ნიკ. აბესაძესთან **წალვერში** ალ. ცირეკიძესთან **ხორაგაულში** ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან **მარელისში** მასწ. მ. დეკანოსიძესთან **მოლითში** მასწ. ს. ლამბაშიძესთან **სამტრედიაში** ის. სტურუასთან **აბაშაში** ალექსანდრე ესაკიასთან **ახალ—სენაკში** ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან **ფოთში** მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან **ლანჩხუთში** შოთა ვადაჭკორიასთან, **ოზურგეთში** გიორგი მუმლაძესთან **ჩოხატაურში** გრ. თავდგირიძესთან **აცანაში შუხუთში ჩიბათში** და **ლესაში** ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან **ბათომში** ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში **ოჩამჩირეში** თეოფილე ხუსკივაძესთან **ნოსირში** მომხმარებელ საზოგადოებაში **ხობში** პროვიზორ ოგანეზოვთან **წინამძღვრიან კარში** ნესტორ ძიძიგურთან **ონში** ილია გოგიასთან **ალპანაში** სამსონ ფრუიძესთან **ზუგდიდში** იოსებ გოგიასთან **ხონში** კესარია მებუკის ასულთან მ. ჭელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან **სოხუმში** პლატონ გელოვანთან **ბანძაში** ესტატე მონივასთან **განჯაში** ტრიფონ თაბუკაშვილთან **ნაოლლევში** აქვსენტი ფარულავასთან **ნახუნავოში** ბეგლარ ფაღავასთან **მალაკში** ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან **ამაღლებაში** მარიამ ჩიჯავაძესთან **ბაღდათში** გ. ახვლედიანთან **მათხოჯში** ლავ. ძიძიგურთან **კავკავში** იასონ ლორთქიფანიძესთან **სადმელში, ქრეპალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში სვირში** და **სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის** სხვა დასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. **გურიასა, რაჭასა** და **საავარაკო** ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

ეჩმიაძინში, ერთი და იგივე დელეგატები— სოციალისტურ კონგრესზე, მთავრობათა „სამშვიდობო“ კონფერენციაზე და კათალიკოზის ასარჩევათო. თუ მას აქით არაფერი გამოცვლილა, ახლა მისთვის შეუძლებელი აღარ იქნება ერთსა და იმავე დროს რუსეთში პაპაჯანოვის აქტიური არევის პოლიტიკა გაათეთროს და ევროპაში სოციალისტურ კონგრესზე მშვიდობიანობის და ჩაურევლობის ანტიმილიტარისტულ რეზოლიუციას მოაწეროს ხელი. ხან ასე, ხან ისე“.

ჩვენ, არა სოციალდემოკრატები, სომხების შესახებ ამაზე მეტს არას ვამბობთ და ქუთათურმა დასელებმა ლამის გამოგვაყრუონ „შოვინისტები ხართო“ მალას!.

## დეპეში.

ჩვენმა რედაქციამ შემდეგი სამწუხარო დეპეში მიიღო თფილისიდან:

ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობა, ღრმა მწუხარებით გაუწყებსთ ამავე საზოგადოების დამფუძნებელ წევრის ხაზინადარის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გამგის— **ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილის** გადაცვალებას. გთხოვთ აცნობოთ სხვა კულტურულ დაწესებულებებს.

ექვთიმე თაყაიშვილი.

ბესარიონ და ალექსანდრე სვიმონის ძენი საყვარელიძეები გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, ვინც დაკრძალვაზე დასწრებით, სიტყვიერათ, ან წერილობით პატივი სცა მათი დედის **ტასიას** ხსოვნას და ანუგეშა ულრმეს მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი.

# ქუთაისი.

ახალი ამბავი.

შაბათს 31 მაისს პეტერბურგის ბირჟაზე ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 78 მანეთად და 10 შაურათ ფასობდა.

✦ დღეს, 3 მაისს ქალაქის თეატრში შესდგება მოსკოვის ოპერეტის მეორე გასტროლი, ბერლინ რაუტის მეთაურობით. წარმოდგენილი იქნება სამ მოქმედებიანი პიესა ,,სასიყვარულო ეგზამენი‘‘.

✦ როგორც სოფ. სიმონეთიდან გვატყობინებენ; პარასკევს 30 მაისს 14 წ. ყმაწვილს დავით ულლებას თავის ბიძაშვილის გრიგოლ ულლებასთვის თოფი უსვრია. გრიგოლი იქვე წაქცეულა. მკვლელს ესეც არ უკმარებია, ჯიბიდან დანა ამოუღია და სულთმობრძავისთვის სახეზე 10 ჭრილობა მიუცია, სხვათა შორის დანით ენაც დაუსერია. მკვლელი დაპატიმრეს. სიმონეთში ამას გამო წასული იყო მაზრის გამომძიებელი. მკვლელობა ოჯახური განხეთქილების ნიადაგზე მომხთარა.

✦ როგორც სოფ. ვანიდან გვატყობინებენ, იქაური გლეხობა 31 მაისს სამტრედიაში ჩასულა სიმინდის მისაღებათ, მაგრამ, როგორც გამოირკვა შემდეგ, გლეხებს ტყვილათ უვლიათ ურმებით ოცი ვერსი. დასარიგებელი სიმიდი ცუდი ღირსების გამომდგარა და გლეხები სულ ცარიელნი დაბრუნებულან შინ. ასეთი ამბები ხშირად ხდება და საჭიროა დამხმარე კომიტეტმა ამას ყურადღება მიაქციოს.

✦ კვირას 1 ივნისს ებრაელებს სალოცავში მიწვეული ყავდათ ქუთაისის ახალი გუბერნატორი ბ-ნი პოტულოვი. გუბერნატორს ებრაელები დიდი ამბით დახვდენ. სალოცავი შემკული იყო ვარდყვავილებით. რაბინმა გუბერნატორს გრძნობიერი სიტყვით მიმართა, აგრეთვე თხოვა, რომ დაცული იქნენ იმ ქურდბაცაცებისგან, რომელიც, ასე სასტიკათ უმწარებენ დღეს... გუბერნატორმა დაaimedა ებრაელები, რომ ამის შესახებ უკვე ზომებია მიღებულიო.

ბ-ნი გუბერნატორი სულ ნახევარ საათს დარჩა მათთან.

✦ 15 ივნისიდან ქუთაისში რეალურ სასწავლებელთან მოეწყობა სახალხო მასწავლებლებისთვის გიმნასტიკის კურსები.

✦ როგორც სოფ. კაცხის სასწავლებლის გამგეს, ცნობა მისვლია თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსისაგან, სადგურ სალიეთში (ჭიათურის შტო) 1 ივლისიდან გაიხსნება ყოველგვარი საფოსტო ოპერაციების მიღება.

✦ რედაქციამ მიიღო მორიგი ნუმერი ჟურნალ „ნაკადულისა“.

✦ ტობანიერის საზოგადოების გლეხობას სულ 14220 ფუთი სიმიდი დაურიგდა.

✦ წელს კიევის უმაღლესი კომერციული ინსტიტუტი ხუთ ქართველს დაუმთავრებია: კ. ზირახიშვილის, გ. ლუკავას, ივ. ლუტიძეს, შ. საბაშვილს და კ. ფრუიძეს. კურს დამთავრებულნი სამშობლოში მალე დაბრუნდებიან.

✦ დღეს ჩვენმა რედაქციამ „სახალხო გაზეთის‘‘ მაგიერ მიიღო პირველი ნუმერი ,,სახალხო ფურცლებისა‘‘.

✦ ივნისს ღამით ქუთ. რკინის გზის სადგურის მახლობლათ ვალაცეებს სასტიკათ გაულახავს სოფ. მასწავლებელი ერემია დოლიძე.

„იმერეთის“ რედაქცია და კანტორა
**გადავიდა**
თფილისის ქუჩაზე, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ
შესახვევში **ოცხელის სახლეში**.

✦ კვირას 1 ივნისს სომეხთა სასწავლებელში შემდგარ საცეკვო სალამოს ჩინებლათ ჩაიარა. ავდარის გამო ხალხი ცოტა დაესწრო.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის პოპეჩიტელმა ქუთაისის ქალაქის თავს ცნობა გამოუგზავნა; მეფის მოადგილის განკარგულებით ქ. პიატიგორსკში ივნისში და აგვისტოში მოეწყობა, სახელოსნო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სპეციალურ სასწავლებლების მოწაფეთა ნამუშევარის გამოფენა. ეს გამოფენა კავკასიაში მეორედ იქნება, რასაც დაესწრება ხსენებული სასწავლებლების ხელმძღვანელები. აგრეთვე პოპეჩიტელი თხოვს ქუთ. ქალაქისთავს ამ გამოფენას დაესწროს.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 9 ივნისისათვის.

✦ ხვალ ოლქის სასამართლოში გაირჩევა ვერა გრიგოლიას, ნიკოლოზ ჩერჩელაშვილის თეოფილე თევდორაძის, სევერიან ვადაჭყორიას და სხ. საქმეები.

✦ 31 მაისს მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწემ გაარჩია მეთორნე თემურაზ ვაცუტაძის საქმე. მას ორი საქმე ბრალდებოდა. სანიტარული წესის, და პურის ნიხრის დარღვევა. სასამართლომ ერთი თვის ციხე და 10 მანეთით დაჯარიმება მიუსაჯა.

✦ 31 მაისს მომრიგებელ მსამართლის თანაშემწემ გაარჩია სანიტარული წესის დარღვევისათვის შემდეგი პირების საქმე: გ. ადეიშვილის, ილ. ქუთათელაძის, შ. მაწკეპლაშვილის და ლ. ბრეგაძისა სასამართლომ ისინი თითო 10 მანეთმდის დააჯარიმა.

✦ ტობანიერის საზოგადოებიდან გვწერენ, რომ სამტრედიიდან საჩინოს მხარესკენ მიმავალი გზა ძლიერ წამხდარი არისო. მეეტლეს,—კვირადღე არ გაივლის, რომ ეტლი არ წაექცეს და მგზავრს რამე ხიფათი არ დაემართოს. საჭიროა ან გარემოებას ადგილობრივი ბოქაული ბ-ნი ალხაზაშვილი ზომიერ ყურადღებას მიაქცევდეს.

✦ ქალ. სანიტარმა ი. ჩაჩანიძემ 31 მაისს ოქმები შეუდგინა ბალახვნის შესახვევში უსუფთაობის გამო გიორგი ხვედელიძეს, ვოლოხს და მირონ ხეცურიანს; აგრეთვე ოქმი შეუდგინა ლორების ქუჩაშიდ გამოშვებისთვის მიხეილ ცირეკიძეს და ალექსი ფირცხალავას.

# თფილისი

საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიის მართველად ეპისკოპოსმა პიმენმა დანიშნა ნიკ. მიხ. დობროვოლსკი. ძველმა მართველმა დანილოვმა ამ ორის კვირის წინად თავი მოიკლა.

— მეფის მოადგილის ჩამოსვლა თფილისში ათი დღით გადაიდო. მეფის მოადგილე თფილისს ჩამოვა დაახლოვებით 10 ივნისს.

გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას, გამართოს 6 და 7 ივნისს მუშტაიდში სეირნობა დიდუბის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოთ.

ტრაგედია თ-დ ციციშვილის ოჯახში. 27 მაისს ს. საგარეჯოში, თავ. არჩილ დიმიტრის ძის ციციშვილის სახლში სტუმრათ იყო თოხლიაურის (თფ. მაზ.) მცხოვრები დავით ივანეს ძე ბერძენაშვილი, რომელიც ითვლებოდა თავ. ციციშვილის დის საქმროთ. სტუმარი ოჯახში ნაშუადღევს 1 საათამდი დარჩა და სადილესთან, მუსაიფის დროს, ჩხუბი მოუვიდა. თ-დის ასულმა ბერძენაშვილს განუცხადა, სიტყვა უკან მიმაქვს, ცოლად აღარ გაგყვები და დღეიდან სრულიად ხელს ვიღებ შენს ნაცნობობაზეო. ასეთმა განცხადებამ ქალის ძმაზე, თ-დი ციციშვილზე ისე ცუდათ იმოქმედა, რომ უცებ იძრო რევოლვერი და ოთხჯერ ზედი-ზედ გულში დაიცა. დაჭრილი ჩქარა გადაიცვალა. ამ სურათის დანახვაზე ბერძენაშვილმაც იძრო რევოლვერი და გულში დაიცა. იგი მძიმედ დაიჭრა და ამ ჟამად თფილისის საავათმყოფოში წევს.

✦ სურსათ-სანოვაგის ფასმა თფილისში შესამჩნევათ აიწია, ქალაქის სასტატისტიკო ბიუროს ცნობით უკანასკნელ შვიდის წლის განმავლობაში ფასმა აიწია: ფრინველზე – 51,9 პროც., თევზზე—45,1 პროც., მარილზე 41,6 პროც. ფქვილზე —24,4 პროც. თივისა და სხვაზე 23,6 პროც. მერძეობის ნაწარმოებზე—16,2 და ხორცზე—13 პროც. ამავე ხნის განმავლობაში სახლების ქირამ აიწია 30 პროც.

ქალაქის გამგეობამ [illegible] დაუჭიროს კავკავის ქალაქის თვითმართველობას, რომელიცა თხოულობს კავკავსა და თფილისს შუა ტელეფონის გაყვანას. ამ დადგენილებას გამგეობა დასამტკიცებლად წარუდგენ საბჭოს ორშაბათს, 2 ივნისს.

— ტფილისის სამიწისმზომლო სასწავლებელი წელს 30 კაცმა გაათავა. მათ შორის 6 ქართველია: სევერიანე ნადარეიშვილი, ვენე ნიკურაძე, ვარლამ ჩხენკელი, ეფრემ მენაბდე, ევსეი მელიქიძე და მელიტონ გაბისონია. ამ დღეებში გაემგზავრებიან სოფ. ახალქალაქში (ქართლი) პრაქტიკულ სამეცადინოდ.

## ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი.

ქართველ მოღვაწეთა ჯგუფს კიდევ გამოაკლდა ერთი ჩუმი, მაგრამ დიდად სასარგებლო წევრი —ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი!

ალექსანდრე სარაჯიშვილი ცნობილია არა მარტო, როგორც საზოგადო მოღვაწე, არამედ ცნობილია, როგორც ქართველი მწერალი „რირბაბას“ სახელით.

საყურადღებოა აგრეთვე მისი ლიტერატურული გამოკვლევა „ვეფხვის ტყაოსანი და მისი ყალბი ადგილები“.

ამ ბოლო დროს ალ. სარაჯიშვილი სწერდა ისტორიულ გამოკვლევას თარხნიათ საგვარეულოს შესახებ.

## მეტი ხალისი.

(ქართულ სცენის მოყვარეთა ყრილობა).

ქართველმა არ ვიცით საქმის ხეირიანათ გაკეთება. უცებ მოვიფიქრებთ, ავხრიალდებით და შემდეგ კი ეგრეთვე მძიმედ მოვეშვებით, მოვდუნდებით.

ისე გვაქვს რისამე კეთების იმედი დაკარგული, რომ აღარაფერი აღარა გვწამს.

აი ეხლაც... მოვინდომეთ სასცენო მოღვაწეთა ყრილობა შემდგარიყო, თითქო ავხმაურდით, თითქო საზოგადოებაში თანაგრძნობაც დაიბადა, მაგრამ კვლავ ვატყობ, გულგრილობის ჭია შემოცოცდა ამ საჭირო და სპეტაკ საქმეშიაც.

ბევრი სკეპტიკოსი გაუჩნდა ჩვენ მომავალ ყრილობას: რა იქნება? რა უნდა გავაკეთოთ? მოუმზადებლები ვართ და სხვ.

თითქო არ ვიცოდეთ, თითქო ქვეყანამ არ იცოდეს, რომ ნამდვილათ მომზადებული ადამიანები თვით ფართო ცხოვრება-

## ჩვენი ველურობა.

ახალგაზდა სტუდენტი ვიყავი. ერთს ჩემ ნაცნობ გლეხს ვესტუმრე და ორი დღე-ღამე გავათიე მის ოჯახში. ძლიერ გამაკვირვა ძმებს შორის დამოკიდებულების უკიდურესმა სიმკაცრემ. უფროსი ძმა ეუბნება საშუალს: ამ დილას საქონელი ამა და ამ ადგილას უნდა გავრეკოთო. საშუალო კი, გულმოსული, მკაცრ პასუხს აძლევს: „გაგიწყდა მიწა! შე ჩერჩეტო, როგორ არ იცი, რომ დილის სიცივე საქონელს ჩლიქვებს „დააზრობს?“ შემდეგ ის რასლაც ასწავლის უმცროს ძმას, რომელიც თავისი მხრით წყრება, ყვირის, ღრიალობს. მუდამ ჩხუბი და ერთმანეთის პიროვნების გათელვა და დამცირება! ერთი სიტყვით, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო.

ერთხელ ერთი გლეხის ოჯახში მამასა და შვილებს შორის ამტყდარს საოჯახო დავას დავესწარი. უფროსი შვილი, რომელიც ნასიარულევი, გარედ გასული იყო, ეუბნებოდა მამას: „მამაჩემო, რატომ არ იცი, რომ მე შენზე უკეთ მესმის ავიცა და კარგიცა! ქვეყანა დამივლია და მინახავს. შენ კი შენს სოფელს არ გასცილებიხარმერე კიდევ, დაბერდი, ჭკუა აღარა გაქვს და სხ.‘‘ და გამწარებული მამა სიტყვის შებრუნებასაც ჟი ვერ უბედავდა.

საზოგადოდ, გლეხის ოჯახში, როდესაც დაიბრიყვებენ მამას, ამის უცოდვილესი აღარავინ არის: ჩვარივით თელვენ და ზედ გადადიან!

როდესაც ოჯახში ბევრი წევრია, ერთს აირჩევენ მეთაურად. მეთაური კი ნამდვილი დესპოტია, რომელიც ყველას ლაგამსა სჩრის პირში.

რას მივაწეროთ ამგვარი გამწარება და სიმკაცრე? იმას, რომ გლეხის ოჯახი თითქმის სამხედრო მდგომარეობაშია. მცირე შეცდომას დიდი ზიანი მოსდევს. ამიტომ მკაცრი დისციპლინაა საჭირო. და, სადაც ამგვარი დისციპლინაა, იქ პიროვნება დაჩაგრულია.

როგორ ეპყრობოდა ძველად აზნაური მოჯამაგირეს? სასტიკად, ბატონ-ყმურად. საკუთარ სახელსაც კი ართმევდა და ,,ბიჭოს‘‘ უწოდებდა. მოჯამაგირე კი ,,ბატონობით‘‘ მიჰმართავდა, თვარა—გაილანძღებოდა. და, ასე გაშინჯეთ, აზნაური გლეხს პურის ჭამაშიაც კი არ მოისვამდა გვერდით.

მადლობა ღმერთს, ახლა უფრო ადამიანური დამოკიდებულებაა მათ შორის და, ძველი, ბატონყმური ურთიერთობის ნასახაც კი ლამის გაჰქრეს.

სამაგიერად სასოფლო მოხელეებმა მოიპოვეს დიდი უფლება, და გლეხის ზურგზე მათრახი ძველებურადვე გადადის და გადმოდის.

ამის მიზეზიც იგივეა, ე. ი. ცხოვრების პირობათა სიმკაცრე, ულმობელობა.

დიაღ! ცხოვრება საშინელებაა! და ეს საშინელება ქმნის მკაცრსა, ულმობელსა და შეუბრალებელ ხასიათს, ველურს, არა ადამიანურ ადამიანსა!

ხშირად გაიგონებ სოფელში (და ქალაქშიაც) უწმაწურს, ადამიანის პიროვნების დამამცირებელ ლანძღვა-გინებას.

ერთი სიტყვით. პიროვნება ჩვრადაც არ მიაჩნიათ!

აზნაურები ძველად მხედრები იყვნენ და ზოგიერთს მათგანს დღემდის შერჩათ ძველი ჩვეულება და ადათი, სხვათა შორის ,,შემოძახება‘‘. როდესაც ,,აზნაურს‘‘ გული მოუვა ვისზედმე, მოპირდაპირეს მამაპაპისებურად ,,შემოუძახებს: ,,ჰატ! ვინ გგონივარ მე შენ! როგორ მიბედავ, შე ასეთო შე ისეთო!‘‘

ერთი სიტყვით, ცხოვრებაში საშინელი სიმკაცრე იყო და დღესაც არის გამეფებული. და ამ ნიადაგზედ არის აღმოცენებული პიროვნების ჩაუგდებლობა და დაუფასებლობა, რომელიც გზას უჭრის, საშინელ დაბრკოლებად ელობება წინ ეროვნულ წინმსვლელობასა.

ეს მოვლენა ლიტერატურაშიაც აღნიშნულია. არ შევეხები ილიას ,,კაკო ყაჩაღს‘‘ აკაკის ზოგიერთს იუმორისტულ ლექსსა და სხ.ახალი დროის მწერლებს შორის ყველაზე უფრო ეგნატე ნინოშვილსა და დავით კლდიაშვილს აინტერესებდა ცხოვრების ნარ-ეკლიან ნიადაგზე აღმოცენებული უკულმართი ტიპი. გავახსენებ მკითხველს სხვათა შორის ეგნატე ნინოშვილის სიკვდილს შემდეგ გამოსულს დაუმთავრებელ მოთხრობას. დედამთილი სწუნობს რძალს ულამაზობის გამო და სტუქსავს, აწამებს, სტანჯავს. ოჯახში ნამდვილი ჯოჯოხეთია გამეფებული! აქ ნამდვილი ზოოლოგიური, თავშეუკავებელი ულმობელობა და შეუბრალებლობა ჩანს!

და ჩვენი პუბლიცისტური პრესსა ხომ ანარეკლია ცხოვრების ამ ულმობელობისა და სიმკაცრისა. ჩვენებური პუბლიცისტი სიტყვას ისე არ იტყვის, რომ ვისმე არ შეურაცხყოს. ხმლად და ფარად მოპირდაპირის წინაალმდეგ—ლანძღვა-გინება მოეპოვება. გიწოდებს შავრაზმელს, შოვინისტს, „მამულიშვილს“ ფრჩხილებში, ჯაშუშს და ცდილობს ამით გულუბრყვილო მკითხველის გული მოიგოს. ბრბოს, რომელიც ჯერ ამოთვლით კითხულობს და ყოველსავე ლიტერატურულ გემოვნებას მოკლებულია, მოსწონს ამგვარი ტლანქი, ქუჩური ოხუნჯობა და სიმკაცრე. და მისი ლიტერატურული აღზრდა შეუძლებელი და შეიქნა.

მოუმზადებელ, უმეცარ მწერალთ ჩაუვარდათ ხელში ქართული სახალხო ლიტერატურა. და, ხალხის გული და გონება მოიწამლა, აივსო ლიტერატურული ბალღმით და არა თუ არ გაკეთილშობილდა მისი გავლენით, არამედ კიდევ უფრო გაცვდა, გაქვავდა და გაველურდა.

დიაღ! ჩვენი პუბლიცისტიკის გავლენა მდაბიო ხალხზე უარყოფითია, რადგან, მოგეხსენებათ, „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“.

ძველი ამბებიც რომ არ გავიხსენოთ, ახალიც ბევრია, ჩემ ნათქვამს რომ ამოწმებს.

აგერ ახლა „აზრმა“ შემოგვიკურთხა და შემოგვიძახა ისე, როგორც ჩაფარი შეუძახებს ხომლე ტუსაღს: „თქვე შავრაზმელნო, როგორ გაბედეთ და ჩვენ წინააღმდეგ სთქვით რამე?! სუ! ხმა გაიკმინდეთ! ვინ მოგცათ უფლება, გამოგვედავოთო და სხ. ამას წინად თ. ღლონტმა „საზიზღარი და მავნებელი არსებანი“ გვიწოდა და შემდეგ ჩვენვე გვიკიჟინა ლიტერატურული მართებულების უარყოფა და გადალახვა. გაზ. „შრომა“ ერთს თავის ნუმერში ჩემ კრიტიკულ ნაწერებს „უარაკრიტიკას“ უწოდებს და იმავე დროს თავს იქებს, ჩვენი ჯგუფი მით განსხვავდება „სანდონებისაგან“, რომ პიროვნებას პატივსა სცემსო. „ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებსო“, სწორედ ამაზეა ნათქვამი!

და ჩვენში ჯერ შორს არის ის დრო, როდესაც პიროვნება დაფასდება და ლიტერატურული მოპირდაპირე არ გაილანძღება.

მარქსმა სთქვა: ვისაც აზრი აკლია, ის სიტყვების რახარუხით ცდილობს ფონს გავიდესო. და, როდესაც ორს ლიტერატურულ მოპირდაპირეს შორის დავაა, შეგვიძლია ვთქვათ, ვინც უფრო ილანძღება, მტყუანი ის არის. ცხადია, რატომ: არ შეუძლია აზრს აზრი დაუპირდაპიროს, და გული მოსდის, ფიცხობს, სულიერ წონასწორობას ჰკარგავს, მით უფრო, რომ ეშინია, ხელიდან არ გაუსხლტეს მორჯულებული, მოშინაურებული, ლაგამამოდებული, ყურმოჭრილი, მონამორჩილი ბრბო. გალანძღვით, შემოძახებით, ყვირილით ის ბრბოის შეშინებულ აზროვნობას კიდევ უფრო აშინებს და აქვავებს. ამგვარადვე აშინებდა ძველად ბატონი მონის აზროვნობას!

ლანძღვა-გინება - იგივე ტლანქი ძალადობაა, რომელიც პიროვნებას ამცირებს და დამოუკიდებელ აზროვნობასა და ინიციატივას ჰკლავს. შეაშინეთ კაცი, შელახეთ მისი თავმოყვარეობა, ახადეთ ადამიანური ღირსება,— და მოსპობთ მის აზრს, მის შემოქმედებით ნიჭს.

და ამ ბრძოლაში ორივე მხარე წაგებულია, გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც,—დამარცხებული მიტომ, რომ მისი აზროვნობა მოკლულია, გამარჯვებული კი მიტომ, რომ თავისი თავის მოიმედეა და თავისი აზრის შემოწმება, კრიტიკულად განხილვა საჭიროდ აღარ მიაჩნია. ამიტომ გამარჯვებულის აზროვნობაც მძინარე, ზანტი, უმოქმედოა.

მაგრამ არ შემიძლია არ გამოვესარჩლო აქ ერთს, ზევით ხსენებულს კეთილშობილ სიტყვას, რომელიც ჩვენში საგინებელ სიტყვად გამხდარა. ეს სიტყვა —„მამულიშვილია“, რომელსაც შავრაზმელისა, ხულიგანისა, დამრბევისა და კიდევ უარესის სინონიმად ხმარობენ.

რატომ იწუნებენ ხსენებულ სიტყვას?! რადგანაც გამოხატავს ეროვნულ მიმართულებას. გვეუბნებიან: ერი არ არსებობს,

შიაც თითო-ოროლა გვყავს. მაშასადამე ხელოვნების სფეროში,—რა გვიწყობდა ხელს, რომ სრულიად მომზადებული ადამიანები გვყავდენ.

ან და თუ ინჟინერი არა ვარ, ჩემს ღელეზე ბოგირი არ უნდა გავდო? ხომ მეც მაწუხებს ეს პატარა მღვრიე რუ, როდესაც გულს მოიყვანს და მოდიდდება. მე ამ ბოგირს გავდებ, მომავალში მომზადებული ინჟინერი ლამაზ და მტკიცე ხიდს ააგებს.

მაშასადამე, არ ითქმის, რომ დღეს-დღეობითაც საყურადღებო და თვალსაჩინო საკითხები არა გვქონდეს გადასაწყვეტი. არც ის ითქმის, რომ ჩვენც მოუმზადებლებს ცოტა რამ მაინც არ გვესმოდეს ამ საკითხებისა, რომ ცოტა რამ მალამოს გამონახვა ჩვენც არ შეგვეძლოს.

სამწუხაროც ის არის, რომ იცი—საკითხებიც მომწიფებულია, დედა-ქალაქშიაც და პროვინციაშიაც არიან ისეთი ელემენტები, რომელთაც სურთ ამ საკითხებს ანგარიში გაუწიონ, მაგრამ ჩვეული გულგრილობა ვერ დაუძლევიათ.

ყრილობას საორგანიზაციო კომისიამ წერილებიც დაგზავნა პროვინციაში, განცხადებაც დიდი ხანია იბეჭდება, მაგრამ პროვინცია მაინც სდუმს.

რათა? განა იმიტომ რომ არ უნდათ მონაწილეობის მიღება? გულგრილობის ჰია უშლის ხელს. ვერ დავფარავ, ქუთაური პრესაც მეტად ჩუმად არის. მე კი მეტს გამოძახილს მოველოდი.

მაგრამ დავეთხოვოთ წუწუნს.

ჯერ კიდევ დროა. ყრილობა მხოლოდ 8 ივნისს იქნება. მოვინდომოთ შემოვკრბეთ ყოველი მხრიდან, ვისაც კი გული შეგვტკივა ქართული თეატრისადმი, ნუ დავიშურებთ ორიოდე გროშს თფილისში ჩამოსასვლელად. თუ ზოგჯერ განსვენებისა და იუბილეებზე იმდენს ხარჯავს დელეგატების გამოსაგზავნათ პროვინცია ნუთუ საერთო ყრილობა ხელოვნების წარმომადგენლებისა, საზოგადო მოღვაწეებისა ნაკლები საყურადღებოა, ნუთუ ამისთვის უფრო არ უნდა იქნეს წვლილი გამოღებული? შევიკრიბნეთ, ვითათბიროთ პირუთვნელად, გულღიათ. ყველამ შევჩივლოთ ერთიმეორეს ჩვენი ჭირ-ვარამი. ესეც ერთი ნაბიჯი იქნება წინ, მაგრამ სრული დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენი თავ-მოყრა მეტ ნაყოფს გამოიღებს—ნიადაგს მოუმზადებს მომავალ ნაყოფიერ მუშაობას და სწორე გზაზე დაგვაყენებს.

გავბედავთ და ერთხელ კიდევ მოვუწოდებთ მხურვალედ ყველას, ვისაც კი ჩვენი ახალი თეატრი სწამს, მივმართავთ ქართული სცენის მეგობრებს კავკავიდან ახალციხემდი, ბაქოდან სოხუმამდი, მოვუხმობთ დრამატ. ხელოვნების თანამგრძნობებს.

კარგა გაითვალისწინონ დღევანდელი საჭირო მომენტი, ჩაუფიქრდენ, თუ რას ავალებთ მათი საქმისადმი სიყვარული, მოინდომონ, გაიჭირვონ კიდეც—საზოგადო საქმისათვის გაჭირვებას არ უნდა ვუფრთხოდეთ—შეაგულიანონ სხვებიც და 8 ივნისისათვის გამოგზავნონ თფილისში თავიანთი წარმომადგენლები.

შალვა დადიანი.

(„ს. ფ.“)

# ბულბულის კუბო.

რიონი სჩქეფს, რიონი ჰყეფს,
მაღლა ისვრის ბროლის წინწკლებს,
ზღუდეს ანგრევს, ვერ ეტევა...
შავარდენი ვერ ეწევა!
ვარდის კუბო მოაქვს ტალღას,
ნიავისებრ მსუბუქს და ლაღს...
შიგ ბულბული ასვენია,
გულზე ია დაჰფენია,
ლამაზს თვალი დახუჭია,
აღარა თრთის მგოსნის გული
სადღა არი ტკბილი კვნესა,
მოკვდა, მოკვდა სიყვარული!
პირზე სხივი შეჰხმობია,
მთვარის სხივი საშიკო,
რომ უყვარდა მიტომ კვნესდა,
კვნესდა, რადგან შორით იყო.

ახ, მგოსანო, ჩანგისათვის,
სჩანს, გველს გულში უჩხვლეტია,
და შენს კუბოს, ვარდის კუბოს
სტირის შენივ ტიავ-ტია!
ჰალის ლხინო, მწუხარებით
ტირიფს ცრემლი მოსწყვეტია,
ვერხვი გლოვობს, ვერხვი მოსთქვამს:
ტიავ-ტია, ტიავ-ტია!
მთების წყარო, შენი ჰანგი
ჩაჰკონია რიონს გულში,
მაშ ეგ კუბო—ვარდის კუბო
ილივლივებს გაზაფხულში.*)

ი. ევდოშვილი.

*) კორექტურულ შეცდომების გამო ეს ლექსი ხელმეორეთ იბეჭდება.

# რუსეთი.

## დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.)

1 ივნისი

პეტერბურგი. სახალხო განათლების მინისტრი კასო ოდესას გაემგზავრა.

ოდესა. შინაგან საქმეთა მინისტრი იზმაილს გაემგზავრა.

მინსკი. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თაოსნობით აქ გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

ოდესა, კიშინევს გაემგზავრა ვაჭართა დეპუტაცია, რომელიც შეამკობს ალექსანდრე პირველის ძეგლის კვარცხლბეკს ვერცხლის გვირგვინით.

პეტერბურგი. საბიუჯეტო კომისიამ მოიწონა კანონპროექტი კავკასიაში გამომძიებელთა და მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობის გაფართოების შესახებ.

სევასტოპოლი. ავიატორი მასალსკი ევპატორიიდან ბრუნდებოდა, აპარატი გაუფუჭდა და მინდორზე დაეშვა. მის მიერ გაშვებულმა მტრედმა ავიაციის შკოლაში წერილი მოიტანა და ავიატორს მიეშველენ.

ოდესა. აქ ელიან ხელმწიფე იმპერატორს. ქალაქი საუცხოვოთ არის მორთული. მცხოვრებლები აღფრთოვანებული არიან. მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჯუნკოვსკი.

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

დეპუტატთა უპასუხისმგებლობა.

ამბობენ, რომ საბჭოს თავჯდომარე აკიმოვი უარყოფით უყურებს სათათბიროს მიერ მიღებულ კანონპროექტს დეპუტატთა უპასუხისმგებლობის შესახებ და გაუცხადა ზედა-პალატის ზოგიერთ წევრებს, რომ საჭიროა ეს კანონპროექტი უარყოფილ იქნას და არ იქნას მუხლობრივათ განხილული. საბჭოს წევრთა უმრავლესობას ასეთი უარყოფა არა სასურველათ მიაჩნია, რადგან ეს საქმე თხოულობს მისს ყოველმხრივ განხილვას. კანონპროექტს ან სულ უარჰყოფენ ან და დიდს ცვლილებებს შეიტანენ. (რ. ს.)

სათათბიროს გარშემო.

სათათბიროს სხდომები 20 ივნისამდი გაგრძელდება. დეპუტატთა რიცხვი ყოველდღე კლებულობს. დღემდე 102 დეპუტატი წასულა. ამჟამათ სათათბიროს თავჯდომარე არ აძლევს ნებას დეპუტატებს წავიდენ დასასვენებლათ, სანამ სესია არ დასრულდება იმ მოსაზრებით, რომ სესიის დასრულებისას სრული ქვორუმი იყოს დეპუტატებისა. (რ. ს.)

პრაქტიკული საერობო აკადემია.

კიევის ქალაქის გამგეობა კიევში საერობო-საქალაქო საქმეთა უმაღლეს ინსტიტუტის გახსნას აპირებდა. ამისათვის თავის დროზე პეტერბურგში წარდგენილ იქნა შესაფერისი კანონპროექტიც.

ამ ჟამათ კიევში ცნობა მიიღეს: ადგილობრივ მეურნეობის მთავარმა გამგეობამ, კიევის ქალაქის პროექტის მიხედვით, გადასწყვიტა პეტერბურგში დააარსონ უმაღლესი პრაქტიკული აკადემია, ქალაქისა და საერობო მოხელეთა მოსამზადებლათ. ამის გამო კიევში ინსტიტუტის დაარსების საკითხი უარყოფილია. (რ. ვ.)

# უცხოეთი.

## დეპეშები.

1 ივნისი.

ათინა. დღეს გამოქვეყნდება კანონი ალბანეთისადმი კუნძულ სასენკოს დათმობის შესახებ და მეფის დეკრეტი ზოგიერთი კუნძულების ანექსიის გამო.

დურაცო. საალყო წესების გამოცხადების შემდეგ გახშირდა დატუსაღება. დღეს დაატუსაღეს ქალაქის თავი, ძმა რუსეთის საელჩოს დრაგომანისა მიტროვიცაში. ქალაქის თავის დატუსაღება, რომელიც სერბიელი არის შთამომავლობით, გამოიწვია ანტისერბიულმა აგიტაციამ, რომელსაც ეწეოდენ იგივე პირები, რომელთაც იტალიის წინააღმდეგაც გაილაშქრეს.

ათინა. ათინის [illegible] იმ ხმებს, თითქოს მას მოეთხოვოს სახელმწიფოებისაგან საზღვაო დემონსტრაციის მოწყობა. მცირე აზიის ნაპირებზე. ოფიციალური წრეები დარწმუნებული არიან იმაში, რომ ოსმალეთი კიდევ ჩვეულებრივათ მოიქცევა ეგეის კუნძულების საკითხშიც და არ დააკმაყოფილებს საბერძნეთს. თუ საბერძნეთის მთავრობამ არ მიიღო ოსმალეთისაგან სრული გარანტია იმისა, რომ პორტა შეასრულებს ვალდებულებას,—ომი აუცილებულიაო. ხალიბ-ბეი ათინას დაბრუნდა.

სოფია. ტონჩევი გუშინ დაბრუნდა გერმანიიდან. სესხის ხელშეკრულობა დაუდებთ თამბაქოს უმონოპოლიოთ. სესხის ნახევარი ახლა იქნება მიღებული და ნახევარი კი წლის დამლევამდი.

პარიზი. კაბინეთის შემადგენლობა: ვივიანი—მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი, მალვი—შინაგან საქმეთა, ნულანი—ფინანსთა, მესსიმი—სამხედრო, გოტიე—საზღვაო, ბიენვენ იუმარტონი—იუსტიციის, ოგანერი—განათლების, ტომსონი—ვაჭრობის, რეინო—კოლონიათა, რენუ—საზოგადოებრივ საქმეთა, კუიბა—შრომის და მიწის მოქმედებისა—დავიდი.

ლონდონი. რუზველტი ლონდონში ჩამოვიდა. ორშაბათს იგი ლექციას წაიკითხავს თავის მოგზაურობის და აღმოჩენების შესახებ სამხრეთ ამერიკაში.

ნიაგარაფოლლს. მშვიდობიანობის კონფერენციის წევრებმა შეიმუშავეს პროექტი მშვიდობიანობის ხელშეკრულობისა.

პარიზი. ვივიანის კაბინეთი ახლო მომავალში შეიტანს პალატაში პროექტებს, რომელნიც შეეხება ჯარის გადიდებას და გაძლიერებას.

ანკონა. რკინის გზის მუშათა სინდიკატმა გადასწყვიტა დაუყონებლივ შეუდგენ მუშაობას.

რავენა. ქალაქში წესიერება არის აღდგენილი. ზოგიერთ პროვინციებში ანარქიული მოძრაობაა.

დურაცო. აჯანყებულთ, რა გაიგეს, რომ მთავრობა ემზადება ომისთვის, შეიმუშავეს თვით დაცვის გეგმა. მთავრობას იმედი არ აქვს გამარჯვებისა და ამიტომ ჯერ ვერ ბედავს ბრძოლას.

2 მაისი.

ათინა. ზოგიერთ სოფლებში მთავრობა ასახლებს გამოქცეულს მაჰმადიანებს ?ერ-

---

მხოლოდ კლასები არსებობენ და იბრძვიან; ვინც ემხრობა პროლეტარიატს, ის პროგრესისტია; ბურჟუაზიის მომხრე კი ხულიგანი და შავრაზმელია; და ვინც კლასთა საერთო ეროვნულ ინტერესებს აღიარებს, ის ამით კლასთა ბრძოლას ანელებს, მაშასადამე, გაბატონებული კლასის მომხრეა და, როგორც ასეთი, შავრაზმელიაო. მაშასადამე, „მამულიშვილი“, ან ეროვნული ერთობის აღმსარებელი და მქადაგებელი,—ხულიგანი, რეაქციონერი, ისტორიის ბორბლის უკან დამატრიალებელიაო და სხ.

მაგრამ ძველმა საბერძნეთმა კაცობრიობა იხსნა ბარბაროსობისაგან მით, რომ თავისი მამული დაიფარა სპარსთა და სხვა ბარბაროსთაგან. და მამულის სიყვარული, რომელიც ედვა საფუძვლად მის ცხოვრებას, ისე ძლიერი იყო, რომ უდიდესმა ფილოსოფოსმა სოკრატმა, რომელსაც სიკვდილი ქონდა გადაწყვეტილი, თავს არ უშველა გაქცევით და შემდეგი ისტორიული სიტყვები წარმოსთქვა: „თითოეული მოქალაქე მოვალეა დაემორჩილოს თავისი მამულის კანონებს“.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მოღვაწენი უწოდებდენ თავს „პატრიოტებს“, ესე იგი მამულიშვილებს.

მეცხრამეტე საუკუნეში ბელგიის რევოლიუცია 1830 წლისა ეროვნული იყო და იმავე დროს დემოკრატიული. ბელგიელები იცავდენ ჰოლლანდიელთაგან თავის ეროვნულ უფლებას და იმავე დროს მათ მიერ მოპოვებული კონსტიტუცია ყველა მაშინდელ კონსტიტუციაზე უფრო დემოკრატიული იყო. მაშასადამე, ბელგიელები იყვენ ერთსა და იმავე დროს მამულიშვილებიცა და დემოკრატებიც.

იგივე უნდა ვთქვათ პოლონელებისა, იტალიელებისა, ირლანდიელებისა და სხ. შესახებაც. ყველგან, სადაც კი იყო ეროვნული მოძრაობა, ეროვნული პრინციპი მჭიდროდ იყო შეერთებული, გადაბმული დემოკრატიულთან და მამულიშვილები იმავე დროს დემოკრატებიც იყვენ. და დიად ეროვნულ დემოკრატიულ მოძრაობათა შავრაზმელობად აღსარება—ისტორიული სიმართლის უარყოფა და დიდი უსამართლობაა!

სოცარი ლიტერატურული ტიპი შვა ჩვენმა უკუღმართმა ცხოვრებამ. უმეცრებმა წერა ისწავლეს და, აზრის ნასახიც კი რომ არ მოეპოვებათ, ლანძღვა-გინებაში გაიწვრთნენ და დახელოვნდენ.

მათი ნიშნობლივი თვისებაა ტრაფარეტული, მრავალჯერ გადაღეჭილი, გაცვეთილი, გაზეპირებული სიტყვების გამეორება. იტყვის, მაგალითად; ბურჟუა მძარცველი, მყლეფელი, შავრაზმელია; ყველა ლიტერატორი, რომელიც სოციალიზმს არ აღიარებს, „ნაციონალისტია“, მამულიშვილია“, რეაქციონერია, შავრაზმელთა იდეოლოგია და სხ. მისი აზროვნობის მთელი შინაარსი და ავლადიდება ამ საბუთებით(!) ამოიწურება. მოპირდაპირის პიროვნების პატივისცემა ხომ ცოდვად მიაჩნია. იმავე დროს ენის სილამაზეს, გარეგან ფორმას, ტეხნიკას, ვერ დაუწუნებ. ამიტომ ერთგვარი ლიტერატურული აბერრაცია, მოტყუება, ხდება. არალიტერატურული შინაარსი ლიტერატურულ ფორმაშია გახვეული!

გადაიკითხეთ, მაგალითად, „აზრის“ 62 ნუმერი და დაიჯერებთ, რომ არა ვსცდები. მეთაური წერილის ავტორი აი რა მარგალიტებს აბნევს:

„პ. გოთუები თფილისის ქალაქის თვითმართველობის გამოხვრას ელტვიან“.... „სომხის ბურჟუა სჭამს, ხოლო ქართველ თავადს სახრავი აკლია და აი ისიც ფარხმალს ისხამს და სომხების ამოჟლეტისაკენ მოუწოდებს ქართველ ხალხს“...

„ამ მიზნისათვის ყოველი იარაღი ხელსაყრელია. სოციალდემოკრატ-დეპუტატებმა დაგმეს სომხის პლუტოკრატიის იმპერიალისტური პოლიტიკა... წარმოიდგინეთ, ქართველი ნაციონალისტები ცდილობენ ამ გამოსვლის თავისი ბნელი მიზნისთვის გამოყენებას. მათ არ უთესიათ, მარა უნდათ მოიმკან! ასეთია მუქთახორას წოდების ბუნება! მათი დეპუტატი (ე. ი. გელოვანი): სდუმდა, როცა საქმე ეხებოდა კავკასიის ფრიად მნიშვნელოვან საკითხს. ან კი რა უნდა ეთქვა ქართველ “პოგრომშჩიკს?“

„მარა შუბი ხალთაში არ დაიმალება, არც „მამულიშვილთა“ „პოგრომშჩიკობა“ დემოკრატიული სიტყვების რახარუხით მიფუჩეჩდება. მართალია, ქართველი მამულიშვილები ძალზე სუსტია, რომ სომხების „პოგრომი“ მოაწყონ. მათ ეშინიათ კავკასიის სოციალდემოკრატიის და სომხის ნაციონალისტური პარტიების... ან კი ვინ უნდა გაიწვიონ საომრად? ექიმი ტყეშელაშვილი და გრ. ლაღიძეები 15 წლის ბალღებით? „ამიტომ ახალი საშვალება გამოიგონეს. მართალია, ეს იარაღი ძალზე გაცვეთილია, მას კაი ხანია ხმარობენ ევროპიელი შავრაზმელები და უკანასკნელ დროს პოლონელი ანტისემიტები. ახლა მას ქართველი პურიშკევიჩები ეპოტინებიან„.

„სომხის ვაჭარ-მრეწველთა ბოიკოტი—აი ის იარაღი, რომლითაც ლამობენ სომხის პლუტოკრატიის ალაგმვას“.

აი ნამდვილი ნიმუში ჩვენებური დემაგოგიური ლიტერატურისა, რომელმაც მდაბიო მკითხველის უბრალო გული გესლითა და ბალღმით აავსო! დიაღ! ეს ლიტერატურა საშინელებაა! აბა, დაუკვირდით ხსენებულ ამონაწერს, გაუკეთეთ ანალიზი და დაინახავთ, რა საშინელებასთან გვაქვსთ საქმე! გვეუბნებიან: ყველა არასოციალდემოკრატი, მათ შორის სხვა ჯურის სოციალისტიც კი, შავრაზმელიაო; ქართველი თავადაზნაურობა ქართველ ხალხს სომხების ამოსაჟლეტად მოუწოდებსო; ქართველი მამულიშვილები „პოგრომშჩიკები“ არიან და, რადგან ეშინიათ სოციალდემოკრატებისა და სომხების, სავაჭრო ბოიკოტით აპირობენ სომხის ვაჭრებთან შებრძოლებასო. „პოგრომშჩიკები“ არიან დეპუტატი გელოვანი, ექიმი ტყეშელაშვილი, გრ. ლაღიძე და მათი ამხანაგებიო!

ცხადია, ეს საზიზღარი პროვოკაციაა! აქ სიცრუე და ცილისწამება უსაზღვრო კაცთმოძულეობასთან არის შეერთებული! ეს პარტიული ბრძოლა კი არ არის, არამედ გაავთრებული პირველ-ყოფილი, ზოოლოგიური ველურობაა, რომელიც არაფერ საშუალებას არ ერიდება, ოღონდ კი თავისი მოპირდაპირე გაანადგუროს, მოსპოს. ეს ატილლას, ჩინგის ხანის, თემურლენგის, შაჰაბაზისა და სხ. დროის აღდგენაა და არა თანამედროვე კულტურული ბრძოლა, რომელსაც უმთავრესად პიროვნების პატივისცემა უდევს საფუძვლად. და, რომ გამწყრალიყო ღმერთი და ავტორს სახელმწიფოებრივი უფლება ჩავარდნოდა ხელში, დარწმუნებული ვარ, სისასტიკით კაცობრიობის ხსენებულ ჯალათებსაც კი არ ჩამოუვარდებოდა!

ცხადია, მისი წერილი არსებითი პასუხის ღირსი არ არის.

სამწუხაროდ, ჩვენებურს უმეცარ პუბლიცისტებს (!) ვერ გაურჩევიათ საზოგადო კერძოსაგან. კლასთა შორის ბრძოლას რომ აღიარებდე, ეს კიდევ არ გაძლევს უფლებას შეურაცხყო მოპირდაპირე, როგორც პიროვნება. და, საზოგადოების ერთი ნაწილი რომ ექსპლოატატორად, მყლეფელად მიგაჩნდეს, ეს კიდევ არ გაძლევს ნებას, ამ კლასის თითოეულ წევრსაც ყოველი ადამიანური ღირსება ახადო!

კერძო პირის ზნეობის დაფასება შეუძლებელია იმ გარემოებისა და წრის გარეშე, რომელშიაც ის ცხოვრობს. მისი ზნეობრივი ღირებულება გაიზომება მით, მიუძლვის თუ არა მას რამე სიკეთე, რამდენადაც კი ეს მისთვის მის განსაკუთრებულ პირობათა შორის შესაძლებელია.

ჩვენ არა გვაქვს უფლება ბურჟუაზე უფრო მაღლა დავაყენოთ მუშა მხოლოდ მიტომ, რომ ის მუშაა. და მუშა, როგორც პიროვნება, მხოლოდ იმდენად უნდა დავაფასოთ, რამდენადაც ის თავის პირადსა და საზოგადო მოვალეობას შეძლებისა და გვარად ასრულებს.

ამგვარად შეგიძლიათ მუშათა კლასის დანიშნულება თუნდ კაპიტალისტების კლასის დანიშნულებაზე უფრო მაღლა დააყენოთ, მაგრამ იმავე დროს მოვალე ხართ, ღირსეული კაპიტალისტის პიროვნება უღირსი მუშის პიროვნებაზე უფრო დააფასოთ.

ჩვენში კი, სამწუხაროდ, თუ პუბლიცისტი მუშათა კლასის იდეოლოგია, იმას გარდა, რომ ებრძვის კაპიტალისტებს, როგორც კლასს, ებრძვის თითოეულ კაპიტალისტს, როგორც პიროვნებას.

ამიტომ ველურმა გულისთქმამ აიშვა თავი, კერძო პირების წინააღმდეგ არაადამიანური ბრძოლა გაჩაღდა, ნიადაგი მოიპოვა კაცის კვლამ, ქურდობამ, ყაჩაღობამ, დაბალი ხარისხის დემაგოგიურმა ლიტერატურამ, პიროვნების შეურაცხყოფამ და დამცირებამ პრესაში და ქუჩაში, საჯაროდ და კერძო ოჯახში! სულის შე-

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
შაბიამნის სითხით ვენახების საქმით

მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
უმაღლესი ხარისხის

ძლიერ ზომიერ ფასად

ნამდვილი ინგლისური

შაბიამნი;

გოგირდის ფხვნილი, ქაფშენის სითხე.

მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერვლები.

მანქანების ყოველგვარი რეზინები-სა და სხვა მოწყობილობა

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ძენთა სახლებში. შევიწროებული ბერძნები ემზადებიან საპირანში წასასვლელათ.

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

ლორდთა პალატის რეფორმა.

გაზეთების სიტყვით, მთავრობა მალე შეიტანს ბილს ლორდთა პალატის რეფორმის შესახებ. პალატას ამომრჩევლობითი ხასიათი ექნება და დაკარგავს უკანასკნელ „ვეტო“-ს უფლებას თემთა პალატის დადგენილებათა შესახებ.

(რ. ს.)

ინგლისის მეფე და სუფრაჟისტები.

უკანასკნელმა ამბებმა ცხადადჰყვეს ის, რომ მეფე ისე ვერ გამოჩნდება რომელიმე საჯარო ადგილზე, რომ სუფრაჟისტებმა არ ჩაშალონ დღესასწაული. ეს ახალი ტაკტიკა სუფრაჟისტებისა, რომელსაც სასახლეში უწოდეს „ეგვიპტის მეთერთმეტე სასჯელი“ უქადის მეფეს კარჩაკეტილობას.

(რ. ს.)

—◆—

### პასუხათ ბ. კალენიკე ცქიტიშვილს.

(წერილი რედ. მიმართ).

„იმერეთის“ მე-56 №-ში ბ. ცქიტიშვილს მოთავსებული აქვს კავკავიდან კორესპონდენცია, სადაც ის მოსთქვამს კავკავის ქართული შკოლის უნუგეშო მდგომარეობაზე და დიდ „დარიგებას“ იძლევა საქმის წარმატებისათვის.

თვით ცქიტიშვილის („საზოგადო“ სახელია კავკაველ ქართველებთა შორის) პიროვნება ჩემთვის და საზოგადოთ ყველა იმათთვის, ვინც პრესას პატივსა და ანგარიშს უწევს, იმდენათ მცირეა, რომ იმაზე დიდხანს მკითხველის ყურადღების შეჩერება არა მსურს.

ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ როცა ეს ვაჟბატონი „დისტანციის“ სალდათობას მორჩა, უმუშევართა ტყავში გამოეხვია და, ზოგიერთი „კეთილი ხალხის“ ყურადღებით, დღემდი იცხოვრა კავკავში. ბინათ გაიჩინა ქართული შკოლის სადგომი, ერთ-ერთი მასწავლებლის ოთახი, საიდანაც ის გამგეობამ, თავის უგვანო ქცევისთვის, ორჯერ გამოაძევა. დღეს ბ. კალენიკეს საქმეები როგორღაც თავს ვერ მოსდის, როგორც ამბობენ, და თავის „ხაზეინების“ წერილებს აწერს ხელს.

ახლა არსებითად შევეხოთ ორიოდე სიტყვით „კორესპონდენტის“ ნაწარმოებს.

ის ამბობს, ვითომც მე დღიდან დანიშვნისა, კრიმინალური თვისების დანაშაული ჩამედინოს, როგორიც არის წინანდელ გამგესთან სკანდალების გაკეთება.

სტყუით ბ. კალენიკე! და თუ არა, გირჩევთ თვით ყოფილ გამგეს მიმართოთ და ის აალაპარაკო ამაზე.

შემდეგ ჩემი უღირსობა „კორესპონდენტს“ გამოჰყავს რაღაც „ფაკტებიდან“, რომელთაც ბ. ლოლუასთან აქვს კავშირი. ამაზე მოგახსენებ, ბ-ნო ცქიტიშვილო, რომ ლოლუას სიტყვები ჩემთვის ფაკტი არ არის და მისი სიტყვის გაფაკტება მხოლოდ მის მონა ნოქრებს შეუძლიათ. სიტყვა ფაკტი ცოტათი გაუგებარი უნდა იყოს იმათთვის, ვინც თქვენი „კორესპონდენცია“ შეადგინა.

კარგათ ვიცი, რა მუცლის ტკივილიც იმალება თქვენ საერთო „ფაკტებში“.

ვერავითარი საბუთები, მტრების ვერავითარი წუწუნი ვერ შემაშინებს, რადგან ქართველების შკოლაში, დღიდან დადგომისა, პირნათლათ ვასრულებ ჩემს მძიმე მოვალეობას, რასაც მალე თვით გამგეობა დაამოწმებს.

რაც შეეხება გალობას, ამაზე ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ გალობა უკეთ დაყენება, ვიდრე ჩემამდი იყო, მომენდო მე, და თუ რამდენათ შევსძელი მე ამ საქმის გაძღოლა, ნათლად ჩანს რამდენჯერმე ქართულ-რუსულ გაზეთებში მოთავსებულ რეცენზიებიდან. სიტყვიერი მადლობაც ბევრჯერ მიმიღია სხვადასხვა პირებისგან და თვით გამგეობისაგანაც. სხვათა შორის, ყოვლად სღვდელო დავითმა ნინოობის დღეს გალობა მოიწონა ძლიერ. „სასიამოვნოა, რომ კარგათ მოგიწყვია გალობის საქმეო, სთქვა მან. ყველა ამას თვით გამგეობა დაამოწმებს.

ტყუილია, ბ-ნო ცქიტიშვილო, შენი მარწმუნებლების წუწუნი. ეს იმ ზომამდი სუსტი გუნდია, რომ მალე საპნის ბუშტივით გასკდება და შენ მისგან გაბრიყვებულს, ვშიშობ, იუდასავით ხეზე თავის ჩამოხრჩობა არ მოგიხდეს.

ოთახები მისცა გამგეობამო. ოთახები კი არა, შეიძლება, სხვა ჯილდოც მომცენ, მაგრამ ეს სულ ჩემი შრომის ბრალი იქნება.

ჩემი მოკლე ხნის ყოფნა კავკავის ქართულ შკოლაში იმდენათ თვალსაჩინოა, ბ-ნო კორესპონდენტო, რომ თქვენისთანა ხალხი იმას დიდხანს ვერ წაშლის.

ეს იყოს მოკლეთ ჩემი პასუხი. მინამ ადგილობრივ განყოფილების გამგეობა გამოსთქვამდეს თავის აზრს საქმეების მდგომარეობის შესახებ, საიდანაც სხვათა შორის იმასაც გაიგებთ, რომ მე არა თუ დამითხოვეს, რამედ როცა იძულებული შევიქენი შკოლა მიმეტოვებია, მთხოვეს და მათის თხოვნით დავრჩი წლის ბოლომდი, მიუხედავათ იმისა, რომ დარჩენამ საგრძნობელი ნივთიერი ზარალი მომაყენა.

სამაგიეროთ, შემდეგში თუ ხალხი უფრო ნდობის თვალით შეხედავს შკოლას, ამაში წილი მეც მექნება.

კავკ. ქართ. შკოლის მასწავლებელი

გრ. გორდელაძე.

### შემოწირულობა.

საქართველოს საისტრიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის გამგეობამ ბ-ნის დავით ყიფშიძისაგან მიიღო რამდენიმე ძველი წიგნი, ნივთი და ფული, მის მიერ 1913 წლის გაზაფხულზე ყვირილის ხეობაში შეკრებილი, რისთვისაც აღნიშნული გამგეობა გვთხოვს უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ შემკრებელს ბ-ნ ყიფშიძეს და შემწირველთ, რომელთა სახელი და გვარიც მოხსენებულია შემოწირულებათა სიაში. ამ სიასაც აქვე ვბეჭდავთ.

1. წიგნები:

ა) ხელ-ნაწერი ჟამნი (ხუცური ნუსხური ხელით), ტყავ-გადაკრული ხის ყდით გადამდგარი მღვდ. სპირიდონ ყიფშიძისაგან სოფ. ქვედა (დიდი) რგანში.

ბ) ჟამნი, ერეკლე 2-ის და ანტონ კათალიკოზის დროს დაბეჭდილი ქალ. თბილისს თარიღი ჩღ ( ) ა (17 ( ) 1): საშუალი ასო ამოხეულია; ტყავგადაკრული ხის ყდით. სოფ. ქვედა რგანის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის იპოლიტე სპ. ყიფშიძისაგან. ნახულია აწ გაუქმებულ ძველ ეკლესიაში.

გ) კურთხევანი, დაბეჭდილი ვახტანგ 6-ის დროს ქ. თფილისს, ტყავ-გადაკრული ხის ყდით. სოფ. გუნდოეთის მცხოვრებ ყოფილ მედავითნის ქრისტეფორე გაჩეჩილაძისაგან.

დ) სადღესასწაულო, სოფ. წესს (რაჭა) დაბეჭდილი 1811 წ. ტყავ-გადაკრული ხის ყდით. მისგანავე.

2. ნივთები:

ა) ხის ჯვარი მოწითალო ფერის, სოფ. საირხის (საჩხერის მახლობლად) მცხოვრებ მედავითნის ნიკოლოზ მესხისაგან.

ბ) ხის ჯვარი შავი, სოფ. სავანის (საჩხ.) ეკლესიის მღვდლის სევასტი ქავთარაძისაგან.

გ) რბილ ქვაზე მნიატიურული ქანდაკება მისგანვე.

დ) გულზე დასაკიდებელი ხატი ძეწკვით, სოფ. ქორეთის ეკლესიის მღვდლის პარმენ ბ. ყიფშიძისაგან.

3. ფულები:

მედავ. ნ. მესხისაგან ა. ცხრა შავი რუსული ფული მე XIX საუკ. პირველი ნახევრისა ბ) ოსმალური ფული 1223 ჰიჯრით=1845 გ) 1 ქართული თეთრი ჩყივ (1816) A. T. თფილისში მოჭრილი. ქ-ბ. ანეტა მესხის ასულისაგან დ) ერთი ძველი წამხდარი ფული სავანის მახლობლად ეკლესიის ნანგრევში ნახული.

რედაკტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.

მხუთველი საზოგადო ატმოსფერა დაგუბდა. ამ პირობაში ცხოვრება შეუძლებელი-და!

აი ის ნიადაგი, რომელმაც მოამზადა უდიდესი ეროვნული სირცხვილი და დანაშაული, დიდი მგოსნის, ილია ჭავჭავაძის. მკვლელობა. დიაღ! ილია ჩვენ მოვკალით, რადგან ჩვენ შევქენით ის პირობანი, რომელთაც დაბადეს უდიდესი ბოროტება, ე. ი. აღზარდეს ეროვნული მგოსნის მკვლელნი! ის ჯერ მის სიცოცხლეშივე მოვკალით, რადგან უარვყავით მისი მცნება — პიროვნების პატივისცემა.

მაგრამ მისმა მოწამებრივმა სიკვდილმა ნათლად დაგვანახა ჩვენი საშინელი ეროვნული წყლული და ხელი შეუწყო ეროვნული შეგნების განვითარებას. ილია კიდევ უფრო საყვარელი შეიქნა და მისი მცნება უფრო შეწყნარებული. უკვე ახალმა სიომ დაჰბერა, საზოგადოების სინიდისმა გაიღვიძა და ახალთაობამ თვალი გაახილა და შეუძლია გაარჩიოს კარგი ავისაგან.

და, როდესაც პიროვნებას ფასი დაედება, როგორც პრესაში, აგრეთვე საზოგადოსა და კერძო ცხოვრებაში, ე. ი. აღარ იქნება კინკლაობა, ლანძღვა და თრევა, ცილისმწამებლობა, დაბეზღება, მოტყუება და ტლანქი ძალადობა, არამედ დაიმკვიდრებს ობიექტიური, პირუთვნელი აზრთა-გაზიარება და კრიტიკა, — მხოლოდ მაშინ გაიკვლევს გზას სიმართლე და შეერთდებიან მოპირდაპირენი საერთო ეკონომიურსა და ეროვნულ ნიადაგზე. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ერის წინსვლა, პროგრესსი!

ისარი.

—◆—

## განცხადება.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა 1914 წლის 5 ივნის დღის 12 საათზე გამგეობის შენობაში

## დანიშნულია ვაჭრობა

ქალაქის ეგრეთწოდებულ ყაფნის მოედანზე მდებარე ქალაქის „ბუდკების“ იჯარით გასაცემათ,

პირობების გაცნობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში დილის 9 სათიდან ნაშუადღევის 1 საათამდი გარდა უქმე დღეებისა.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ და სალიტერატურო ჟურნალ

## „კლდე“-ზედ.

| | | |
|---|---|---|
| ფასი: | 1 წლით . . . . | 3 მან. |
| | 6 თვით . . . . | 2 მან. |
| | 3 თვით . . . . | 1 მან. |

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.




## სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

## ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში

## ქუთაისში

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.

## ნ. ს. ტერკის მაღაზია

ქუთაისში

## ველოსიპედები




მინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე

ყველაზე იაფად

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

## ძმ. ქორქოლაძეების მაღაზიიდან




ყიდვის დროს დააკვირდით ნამდვილ ვერმორ. მარკას. სიყალბეს ერიდეთ.

მიღებულია ჩვენს საბაკალეინო მაღაზიაში დიდძალი ყოველგვარი ბაკალეინი საქონელი სხვადასხვა ცნობილი ქარხნებიდან. საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდი, ვენახის ასხურავი ჭილი, ნამდვილი ვერმორელის ვენახის სარწყავი მანქანები, რომელიც შიგნით წამალს ურევს, გოგირდის საფქვევი მანქანები და ყველა ნაწილი სარწყავი მანქანების, აქვე გვაქვს საუკეთესო ბაღდათის ჯიშის

## აბრეშუმის თესლი.

ფასები ყველაფერზე ზომიერია.

მიხეილის ქუჩა, ყაფნის მახლობლათ.

## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. | 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. | 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. | 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. | 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. |
| შორაპანს: | საავარაკო საღამოს | 5 საათ. | 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. | 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. | 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. | 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. | 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. | 50 წ. |
| შორაპნიდან: | საავარაკო დილ. | 9 საათ. | 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. | 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. | 38 წ. |

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.